შპს კერძო სკოლა „ივერონის“
2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა

2023

შესავალი

2023-2024 სასწავლო წლის სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა შედგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის №36/ნ ბრძანებებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმების საფუძველზე.

სკოლაში საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს ქართულ ენაზე, დაწყებით (I-VI კლასები), საბაზო (VII-IX კლასები) და საშუალო (X-XII კლასები) საფეხურზე.

სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილებია:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მისია
2. სკოლის მისია საფეხურების მიხედვით
3. სასკოლო სასწავლო გეგმის სწავლა-სწავლების მიზნები
4. სკოლის ძირითადი საგანმანათლებლო პრინციპები
5. სკოლის ძირითადი მეთოდიკური ორიენტირები
6. სასწავლო წლის კალენდარი;
7. დღის რეჟიმი;
8. დისტანციური სასწავლო პროცესის ორგანიზების გეგმა;
9. სასკოლო საათობრივი ბადე;
10. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებელი/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილო
11. სადამრიგებლო პროგრამა;
12. საგნობრივი კათედრები;
13. საგანმანათლებლო რესურსები
14. მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა;
15. ინკლუზიური განათლება;
16. სასკოლო კურიკულუმები/წლიური პროგრამები

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მისია

შპს კერძო სკოლა „ივერონი“ დაარსდა 2000 წელს. დაარსების დღიდან სკოლა, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და ზოგადი განათლების სფეროში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სამივე - დაწყებით, საბაზო და საშუალო - საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს.

სკოლის თითოეული საფეხურის მიზანია სათანადო ცოდნისა და უნარ-ჩვევების, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტელექტუალურ-ფიზიკური, ღირებულებების მქონე მოსწავლეთა აღზრდა და მომზადება ზოგადი განათლების შემდგომი პროფესიული და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის, თითოეული მოსწავლის ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით. სკოლა მიზნად ისახავს, მშობლებთან თანამშრომლობის, შიდა სასკოლო მონიტორინგისა და სკოლის პრიორიტეტების გათვალისწინებით მოსწავლეთა მაღალი აკადემიური დონის მიღწევას და მათ მომზადებას საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციისათვის.

სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია სწავლების პრიორიტეტები, როგორიცაა უცხოური ენები და სახელოვნებო მიმართულებები.

სკოლა მოწოდებულია: შექმნას უსაფრთხო გარემო, სადაც მოზარდები ეზიარებიან ზოგადსაკაცობრიო და ჰუმანისტურ იდეალებსა და ღირებულებებს. იზრუნოს, მშობლებთან ერთად, მოსწავლეთა უწყვეტი განვითარებისა და განათლების, მათთვის თავისუფალი აზროვნების ჩამოყალიბების, მასწავლებელთა მუდმივი სწავლებისა და პროფესიული ზრდის ხელშემწყობი, განსხვავებული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა სწავლება-განვითარების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფისა და კლასში (სკოლაში) თავისუფალი შემოქმედებითი გარემოს შექმნაზე.

2. სკოლის მისია საფეხურების მიხედვით

<u>დაწყებითი საფეხურის მისიაა:</u>

ა) საგანთა თანამიმდევრული სწავლა-სწავლების გზით მოსწავლის გონებრივი, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა;

ბ) საბაზისო უნარების - წიგნიერებისა და რაოდენობრივი წიგნიერების განვითარებისხელშეწყობა;

გ) სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება, ცნობისმოყვარეობის ცოდნისმოყვარეობაში გადაზრდა და მოსწავლის მომზადება საბაზო საფეხურისთვის.

საბაზო საფეხურის მისიაა:

საბაზო საფეხურის მისიაა საგანთა სწავლა-სწავლების საფუძველზე მყარი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის კონსტრუირება, მოსწავლის ინტერესებისა და მიდრეკილებების გამოვლენა, მოსწავლის დამოუკიდებელი სწავლის უნარისა და შრომისუნარიანობის განვითარება, აქტიური მოქალაქის ფორმირების ხელშეწყობა და საფუძველების შექმნა განათლების მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელებისთვის ან შრომითი საქმიანობისთვის.

საშუალო საფეხურის მისიაა:

ა) საგანთა გაღრმავებული სწავლების გზით სისტემური ცოდნის კონსტრუირება;

ბ) მოაზროვნე, მაძიებელი, ახლის შემოქმედი, წიგნიერი, ინფორმირებული და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბება, რომელსაც შეუძლია გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება, საკუთარი მიღწევების გამოყენება ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად.

3. სასკოლო სასწავლო გეგმის სწავლა-სწავლების მიზნები

სასკოლო სასწავლო გეგმის სწავლა-სწავლების მიზნები ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის სწავლა-სწავლების მიზნებს, რაც გულისხმობს მოსწავლეებში შემდეგი გამჭოლი უნარებისა და ღირებულებების განვითარებას:

- ✓ პრობლემების გადაჭრა
- ✓ კრიტიკული აზროვნება
- ✓ შემოქმედებითი აზროვნება
- ✓ თანამშრომლობა
- ✓ კომუნიკაცია
- ✓ ეთიკა
- ✓ მეწარმეობა, ინიციატივების გამოვლენა და საქმედ ქცევა
- ✓ კვლევა
- ✓ სწავლის სწავლა, დამოუკიდებლად საქმიანობა

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, სკოლა ასევე გამოყოფს პრიორიტეტულ თემებს. ესენია:

ა) კულტურული მემკვიდრეობის დაცვა;

ბ) გარემოს დაცვა;

გ) ჯანსაღი ცხოვრება;
დ) სამოქალაქო უსაფრთხოება;
ე) კონფლიქტების მართვა;
დ) ფინანსური წიგნიერება;
ე) კულტურული მრავალფეროვნება.

4. სკოლის ძირითადი საგანმანათლებლო პრინციპები

შპს კერძო სკოლა „ივერონი“ სასწავლო პროცესში ითვალისწინებს პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებულ კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო კონცეფციას და სწავლა-სწავლების პროცესს წარმართავს ხუთ ძირითად საგანმანათლებლო პრინციპზე დაყრდნობით. ეს პრინციპებია:
ა) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა შინაგანი ძალებისგააქტიურებას.
ბ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.
გ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას დაორგანიზებას.
დ) სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლა).
ე) სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს.

5. სკოლის ძირითადი მეთოდიკური ორიენტირები

1. მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა
ა) სკოლას გააზრებული აქვს, რომ ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი ინდივიდუალური ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით, შესაძლებლობებით, ემოციებით, ინტერესებით, პირადი გამოცდილებით, აკადემიური საჭიროებებით და სწავლის სტილით, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს სწავლა-სწავლების დროს;
ბ) სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობდეს პოზიტიურ და მოწესრიგებულ გარემოში, სადაც მოსწავლე არის დაფასებული, აღიარებული და მასწავლებელთან ერთად არის პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე.

5.1. სწავლა-სწავლების პროცესში თანასწორუფლებიანობის დაცვა

სწავლა-სწავლების პროცესში თანასწორუფლებიანობის დაცვის მიზნით:
ა) დაუშვებელია მოსწავლეების განაწილება კლასებში აკადემიური მოსწრების მიხედვით;
ბ) დაუშვებელია, რომ სკოლამ დააწესოს ბარიერები მოსწავლეთა მიღებასთან დაკავშირებით და მიიღოს მხოლოდ სასკოლო მზაობით გამორჩეული, ან მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეები;
გ) სკოლა მოსწავლეები უზრუნველყოს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესით - ინდივიდუალურ მიდგომას სხვადასხვა მეთოდის, სტრატეგიის, პრობლემათა გადაჭრის გზებისა თუ აქტივობათა ტიპების გამოყენებით.

5.2. სიღრმისეული სწავლება

სკოლა უზრუნველყოს სასწავლო მასალის ეტაპობრივად და მრავალმხრივად მიწოდებას, ახალი საკითხების, ცნებების საფუძვლიანად და განსხვავებულ კონტექსტებში განხილვას,

საგანთაშორისი კავშირების გამოვლენას და საერთო ასპექტების დამუშავებას.

5.3. მოსწავლის მოტივაციის გაზრდა

სკოლა ორიენტირებულია მოსწავლის მოტივაციის გაზრდაზე. მან უნდა შეძლოს დაინახოს კავშირი დავალების მიზანსა და მის საჭიროებას შორის, სკოლაში მიმდინარე საქმიანობასა და სკოლის გარეთ მიმდინარე ცხოვრებას შორის.

5.4. დისციპლინა

სკოლა ზრუნავს მოსწავლეებში საკუთარი მოვალეობების გააზრების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე და უზრუნველყოს მათთვის მშვიდი და საქმიანი გარემოს შექმნას.

5.5. მოსწავლეთა ჩართულობა

თითოეული მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლეთა თანაბარ ჩართულობას სასწავლო პროცესში. მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ განათლების მიღების პროცესში, ასევე საშუალება აქვთ დაეხმარონ ერთმანეთს და მონაწილეობა მიიღონ თანატოლების სწავლა-სწავლების პროცესშიც.

6. 2023-2024 სასწავლო წლის კალენდარი

1. სასწავლო წელი ითვალისწინებს ორ სემესტერს. სასწავლო წელს ორ სემესტრად ყოფს ზამთრის არდადეგები.

2. 2023-2024 სასწავლო წლის დაწყების თარიღია: 2023 წლის 15 სექტემბერი, ხოლო დასრულების - 2024 წლის 14 ივნისი;

3. I კლასის მოსწავლეთათვის 2023-2024 სასწავლო წლის დასრულების თარიღია: 2024 წლის 27 მაისი;

4. XII კლასის მოსწავლეთათვის 2023-2024 სასწავლო წლის დასრულების თარიღია: 2024 წლის 20 მაისი;

5. 2023-2024 სასწავლო წლის პირველი სემესტრი მთავრდება 2023 წლის 29 დეკემბერს (75 დღე. მეორე სემესტრი იწყება 2024 წლის 15 იანვარს;

6. 2023-2024 სასწავლო წლის არდადეგები და უქმე დღეები:

უქმე დღეები	
23.11.2023	გიორგობა
01.01-02.01.2024	ახალი წლის სადღესასწაულო დღეები
19.01.2024	ნათლისღება
08.03.2024	ქალთა საერთაშრისო დღე
09.04.2024	საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღე, საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და

	სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე
09.05.2024	ფაშიზმზე გამარჯვების დღე

- ✓ საშობაო არდადეგები - 30 დეკემბრიდან 14 იანვრის ჩათვლით;
- ✓ საგაზაფხულო არდადეგები - 8 მარტიდან 15 მარტის ჩათვლით;
- ✓ სააღდგომო არდადეგები - 03 მაისიდან 06 მაისის ჩათვლით.

სასწავლო კვირების რაოდენობა სემესტრებისა და კლასების მიხედვით:

I სემესტრი (2023 წ.)					II სემესტრი (2024 წ.)					
კლასები	N	კვირები	უქმე		კლასები	N	კლ	N	კვირები	უქმე
	1	15.09.23 – 22.09.23				16		1	15.01.24 – 18.01.24	19.01.2024
	2	25.09.23 – 29.09.23				17		2	22.01.24 – 26.01.24	
	3	02.10.23 – 06.10.23				18		3	29.01.24 – 02.02.24	
	4	09.10.23 – 13.10.23				19		4	05.02.24 – 09.02.24	
I – XII	5	16.10.23 – 20.10.23				20		5	12.02.24 – 16.02.24	
	6	23.10.23 – 27.10.23				21		6	19.02.24 – 23.02.24	
	7	30.10.23 – 03.11.23				22		7	26.02.24 – 01.03.24	
	8	06.11.23 – 10.11.23				23		8	04.03.24 – 07.03.24	
						საგაზაფხულო არდადეგები				08.03-15.03

	9	13.11.23 – 17.11.23			II – XI	24		9	18.03.24 – 22.03.24	
	10	20.11.23 – 24.11.23	23.11.23			25		10	25.03.24 – 29.03.24	
	11	27.11.23 – 01.12.23				26		11	01.04.24 – 05.04.24	
	12	04.12.23 – 08.12.23				27		12	08.04.24 –12.04.24	09.04.24
	13	11.12.23 – 15.12.23				28		13	15.04.24 – 19.04.24	
	14	18.12.23 – 22.12.23				29		14	22.04.24 – 26.04.24	
	15	25.12.23 – 29.12.23				30		15	29.04.24 – 02.05.24	
ზამთრის არდადეგები						სააღდგომო არდადეგები				03-06.05
						31		16	07.05.24 – 10.05.24	09.05.24
						32		17	13.05.24 – 17.05.24	
						33	XII	18	20.05.24 – 24.05.24	
						34	I	19	27.05.24 – 31.05.24	
						35		20	03.06.24 - 07.06.24	
						36		21	10.06.24 - 14.06.24	
						ზაფხულის არდადეგები				

7. 2023-2024 სასწავლო წლის კალენდარი თან ერთვის სასკოლო სასწავლო გეგმას დანართი №1-ის სახით.

8. სასწავლო კვირა ხუთდღიანია. საჭიროების შემთხვევაში, დასაშვებია 6 დღიანი სწავლებაც. კერძოდ, იმ შემთხვევაში თუ:

ა) სკოლა გადაწყვეტს ყოველდღიური საათობრივი ბადის განტვირთვას;

ბ) გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო სკოლაში გაცდება სასწავლო დღე/დღეები; ამ შემთხვევაში სკოლა ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს სამინისტროს;

გ) ობიექტური მიზეზების გამო სკოლა მიზანშეწონილად მიიჩნევს კვირის რომელიმე დღე განსაზღვროს დასვენების დღედ სამინისტროსთან შეთანხმებით.

9. **I კლასში** გაკვეთილის ხანგძლივობაა **35 წუთი;**

10. **II კლასში** გაკვეთილის ხანგძლივობაა **40 წუთი;**

11. **III-XII კლასებში** გაკვეთილის ხანგძლივობაა **45 წუთი;**

12. გაკვეთილების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით შესაძლებელია დაშვებულ იქნეს

გამონაკლისი, როდესაც სკოლამ, შესაძლოა, ხანმოკლე ვადით შეცვალოს გაკვეთილების ხანგრძლივობა შემდეგ შემთხვევებში:

ა) ექსტრემალური პირობების დროს (ყინვა, განსაკუთრებული სიცხეები და ა.შ.) შეამციროს მაქსიმუმ 10 წუთით;

ბ) სხვადასხვა სასკოლო ღონისძიების ჩატარების დროს გაზარდოს მაქსიმუმ 10 წუთით.

13. სკოლაში I კლასის მოსწავლეებისათვის **შესვენების ხანგრძლივობაა** 15 წუთი, II კლასისათვის - 10 წუთი, ხოლო III-XII კლასების მოსწავლეებისათვის - 5 წუთი. დიდი შესვენება I კლასის მოსწავლეებისათვის არის 25 წუთი, II კლასისათვის - 20 წუთი, ხოლო III-XII კლასების მოსწავლეებისათვის - 15 წუთი.

განაყოფები

შპს კერძო სკოლა „ივერონში“ 2023-2024 სასწავლო წელს განაყოფი არის X კლასში: X ა და X ბ კლასები.

მოსწავლეთა რაოდენობა

შპს კერძო სკოლა „ივერონში“ 2023-2024 სასწავლო წელს კლასში მოსწავლეთა რაოდენობა განისაზღვრება მაქსიმუმ 21 მოსწავლით.

7. დღის რეჟიმი

გაკვეთილი	დაწყება	დასრულება I კლასი	დასვენება I კლასი	დასრულება II კლასი	დასვენება II კლასი	დასრულება III-XII კლ	დასვენება III- XII კლ
I	**09:00**	09:35	15 წთ	09:40	10 წთ	09:45	5 წთ
II	**09:50**	10:25	15 წთ	10:30	10 წთ	10:35	5 წთ
III	**10:40**	11:15	25 წთ	11:20	20 წთ	11:25	15 წთ
IV	**11:40**	12:15	15 წთ	12:20	10 წთ	12:25	5 წთ
V	**12:30**	13:05	----	13:10	----	13:15	5 წთ
VI	**13:20**	----	----	----	----	14:05	5 წთ
VII	**14:10**	----	-----	----	-----	14:55	5 წთ
VIII	**15:00**	----	----	----	----	15:45	----

8. დისტანციური სასწავლო პროცესის ორგანიზების გეგმა

სკოლაში დისტანციური სწავლება შეიძლება განხორციელდეს სრულად ელექტრონულად, სინქრონულად, რაც გულისხმობს საგაკვეთილო პროცესში Zoom - ის, SchoolBook – ისა და სოციალური ქსელების (ფეისბუქჯგუფი, მესინჯერი) გამოყენებით ყველა მოსწავლისა და მასწავლებლის ერთდროულად ჩართვას.

გარდა ამისა, დისტანციური სწავლების დროს გამოყენებული იქნება სხვადასხვა საგანმანათლებლო პლატფორმა, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო რესურსები, მათზე მუშაობა მოსწავლეებს შეუძლიათ დამოუკიდებლად (ვიდეორესურსი, მულტიმედიური რესურსები), ასევე სხვადასხვა ტიპის დავალებები, რომელთა შესრულების შემდეგ მოსწავლე სისტემისგან ავტომატურად იღებს შეფასებასა და უკუკავშირს და ა.შ.;

8.1. დისტანციური სწავლების დღის რეჟიმი და საათობრივი ბადე

ზოგადად, დისტანციურ სასწავლო პროცესში მოზარდის ფიზიკური და ფსიქოლოგიური შესაძლებლობების გათვალისწინებით, საათობრივი დატვირთვის (გაკვეთილებზე გატარებული ასტრონომიული საათების) რაოდენობა ემთხვევა დასწრებითი ფორმატის საათობრივ ბადეს.
დისტანციური სწავლების დროს გაკვეთილი დაიგეგმება იმგვარად, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებული იქნას სხვადასხვა ინტერაქტიული ტექნიკა, მათ შორის, 10-15-წუთიანი შესვენება ფიზიკური აქტივობით. პერიოდულად შეიძლება ჩატარდეს თვალის ვარჯიში, მაგ.: ეკრანიდან მზერის გადატანა შორს მდებარე საგანზე, თვალის 5-6-ჯერ დახამხამება და ა.შ.

8.2. დისტანციური სწავლების მონიტორინგი

დისტანციური სწავლების დროს განხორციელდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი შემდეგი მიმართულებით:

ა) ჩატარდა თუ არა დისტანციური გაკვეთილები დადგენილ დროსა და დადგენილი ხანგრძლივობით;

ბ) მოხდა თუ არა დისტანციურ სასწავლო პროცესში ჩართული მოსწავლეების დასწრების აღრიცხვა;

გ) მოხდა თუ არა დისტანციური სასწავლო პროცესის მიღმა დარჩენილი მოსწავლეების აღრიცხვა და მიზეზების კვლევა;

დ) დაცულია თუ არა ეთიკისა და ქცევის ზოგადი ნორმები.

დისტანციური სწავლების დროს სასწავლო პროცესის ყოველკვირეულ (პარასკევს) მონიტორინგს განახორციელებს სასწავლო ნაწილის გამგე.

9. სასკოლო საათობრივი ბადე

სასკოლო სასწავლო გეგმას დანართი №2 -ის სახით თან ერთვის დასწრებითი სწავლების საათობრივი ბადე, რომელიც:

ა) განსაზღვრავს საგნის/საგნების წლიური ჯამური საათების რაოდენობას;

ბ) მოიცავს თითოეული კლასის ყოველდღიური გაკვეთილების განრიგს, რომელიც აზუსტებს კვირის რომელ დღეს, რა თანამიმდევრობით და დროის რა მონაკვეთში რომელი საგანი ისწავლება.

10. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებელი/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილო

დამატებითი მომსახურების საჭიროების დასაბუთება

ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით, სკოლას შეუძლია, საკუთარი სურვილისა და შესაძლებლობების ფარგლებში, შესთავაზოს მოსწავლეებს დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება. ასეთი სახის მომსახურება შესაძლებელია სკოლამ შესთავაზოს მოსწავლეს, როგორც უფასო, ისე ფასიანი მომსახურების სახით. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/ გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება შეიძლება იყოს მოსწავლისთვის შეთავაზებული ფაკულტატური ან სავალდებულო საგნის სახით.

სკოლის პოლიტიკიდან გამომდინარე, ძირითადი საგნების შესწავლასთან ერთად, მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლების მიღება, მოსწავლეების განვითარება სახელოვნებო, კულტურული, სპორტული და სხვა მიმართულებით. სკოლის სურვილია მოსწავლეებს შეეძლოთ მათთვის საინტერესო მომსახურება მიიღონ ადგილზე. ზემოთ აღნიშნული დამატებითი მომსახურებების არეალის გაზრდა იგეგმება სასკოლო საზოგადოების, სკოლის მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით, რომელსაც სკოლა ჩაატარებს მიმდინარე სასწავლო წლის დასრულებამდე და გამოკითხვის ანალიზის საფუძველზე შეთავაზებული იქნება ყველაზე მოთხოვნადი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებები.

შპს კერძო სკოლა „ივერონი" 2023-2024 სასწავლო წელს თავის აღსაზრდელებს სთავაზობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ/გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას:

1) ესგ-ით გათვალისწინებული დამატებითი საგნების - **რუსული ენისა** და დამატებითი სავალდებულო საგნის - **გერმანული ენის** შესწავლას სავალდებულო სახით;

რუსული ენის შესწავლა იწყება III კლასიდან და ისწავლება III-IV კლასებში (2 კვ. სთ.);

დამატებითი სავალდებულო საგნის - გერმანული ენის შესწავლა იწყება V კლასიდან: V-IX კლასებში ისწავლება 1 კვ. სთ., **ხოლო X კლასიდან გრძელდება ესგ-ს შესაბამისად, როგორც არჩევითი საგანი (2 კვ.სთ).**

უცხოურ ენებში მეცადინეობები მიზნად ისახავს ესგ-ით მისაღწევი შედეგების განვითარებასა და სრულყოფას. ფაქტობრივად, ესაა დამატებითი მეცადინეობები, რომელთა დახმარებითაც მოსწავლეს შესაძლებლობა ეძლევა განავითაროს უცხოური ენისათვის დამახასიათებელი ენობრივი უნარ-ჩვევები, გაიმდიდროს ლექსიკური და გრამატიკული ცოდნა, დახვეწოს მართლწერისა და მართლმეტყველების, მოსმენისა და კითხვის თავისებურებები, რაც მას უცხოელებთან თავისუფალი კომუნიკაციის საშუალებას მისცემს.

2) სკოლის მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, 2023-2024 სასწავლო წელს სკოლა მოსწავლეებს ასევე სთავაზობს:

- **ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ** დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებებს უფასო წრის სახით:

1. **მეტყველების წრე** - (I-VI კლ);

2. **რელიგიის ისტორიის წრე** - (III-V კლ);

- **ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ** დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებებს უფასო წრის სახით:

1. **ხატვის წრე** (I-II კლ);
2. **სიმღერის წრე** (III-IV კლ);
3. **ჭადრაკის წრე** (III-IV კლ);

- **ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას ფასიანი წრის სახით:**

1. **ჭადრაკის წრე** - სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისათვის - მოიცავს სწავლების ორწლიან კურსს;
2. **ისტ-ის წრე** - სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისათვის - მოიცავს სწავლების ორწლიან კურსს;

3) სკოლის მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, 2023-2024 სასწავლო წელს სკოლა მოსწავლეებს ასევე სთავაზობს სააღმზრდელო მომსახურებას - გახანგრძლივებულ სწავლებას.

გახანგრძლივებული სწავლების მიზნებია:

ა) დავალების მომზადება პედაგოგების დახმარებით თითოეულ ასაკობრივ ჯგუფში ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შემდეგ დისციპლინებში:

I-IV კლასებში - ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება; უცხოური ენა - ინგლისური ენა;

V-VI კლასებში - ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა;

ბ) ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების განხორციელების ხელშეწყობა;

გ) მოსწავლეთა თვალსაწიერის გაფართოებისათვის სათანადო პირობების შექმნა;

გახანგრძლივებული სწავლება ხორციელდება სკოლის I–VI კლასებში ძირითადი სასწავლო პროცესის - საათობრივი ბადით გათვალისწინებული საგნების დასრულების შემდეგ და მიმდინარეობს 18:00 საათამდე.

სკოლა I – VI კლასის მოსწავლეებს სთავაზობს ორჯერად კვებას (საუზმე და სადილი). ასევე სთავაზობს სპორტისა და ესთეტიური აღზრდის საგნობრივ წრეებს - ჭადრაკს (III-IV კლასებში), ხატვას (I-II კლასებში); სიმღერას (III-IV კლასებში); მეტყველებას (I-VI კლასებში), რელიგიის ისტორიას (III-Vკლასებში);

4) სკოლის მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, 2023-2024 სასწავლო წელს სკოლა მოსწავლეებს ასევე სთავაზობს დამატებით **საკლუბო მუშაობას.** შპს კერძო სკოლა ,,ივერონში'' შექმნილია სხვადასხვა კლუბი, რომელშიც მოსწავლე სურვილისამებრ ჩაერთვება გაკვეთილების შემდეგ. აღნიშნული კლუბები არის უფასო. კერძოდ:

1. სამოქალაქო განათლების კლუბი
2. წიგნის მოყვარულთა კლუბი;
3. ისტორიისა და გეოგრაფიის მოყვარულთა კლუბი;
4. ხელოვნების მოყვარულთა კლუბი

მოსწავლეთა ჩართულობა აღნიშნულ კლუბებში ემსახურება სხვადასხვა უნარ-ჩვევების განვითარებას: **სამოქალაქო განათლების კლუბის** მიზანია ღირსეული მოქალაქის აღზრდა, საზოგადოებრივ საქმიანობაში მოსწავლეთა ჩაბმა, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, „სამოქალაქო განათლების“ საგნის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკული განხორციელება;

წიგნის მოყვარულთა კლუბის მიზანია მოსწავლეებში წიგნიერების განვითარება, საკუთარი აზრის გამოთქმისა და დაცვის, შთაბეჭდილებების გაზიარების, კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების განვითარება, საპრეზენტაციო უნარ-ჩვევების გამომუშავება.

ისტორიისა და გეოგრაფიის მოყვარულთა კლუბში ხდება ცოდნის გაღრმავება ისტორიასა და გეოგრაფიაში, ეკოლოგიური კულტურის ჩამოყალიბება, მოსწავლეთა პატრიოტ და პასუხისმგებლობის მქონე საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბება;

ხელოვნების მოყვარულთა კლუბის მიზანია მოსწავლეების დაინტერესება ხელოვნების სხვადასხვა დარგით; მოსწავლეთა შემოქმედებითი აზროვნების განვითარება და თვალსაწიერის გაფართოვება, ცნობილი ადამიანების ცხოვრებისა და შემოქმედების

გაცნობა და ა.შ.

სასწავლო პროგრამები სასკოლო სასწავლო გეგმას თან ერთვის დანართი N3-ის შესაბამისად.

11. სადამრიგებელო პროგრამა

შპს კერძო სკოლა „ივერონში“ შემუშავებულია სადამრიგებლო პროგრამა, რომელიც გამომდინარეობს ერთიანი ეროვნული სასწავლო გეგმიდან, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან და სკოლის მისიიდან. სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი ვალდებულია სასწავლო წლის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე სასწავლო ნაწილის გამგეს წარუდგინოს საკუთარი სადამრიგებლო კლასის სამუშაო გეგმა.
კლასის დამრიგებელს სასწავლო წლის დასაწყისში ამტკიცებს სკოლის დირექტორი.

დამრიგებლის მუშაობა წარიმართება შემდეგი პრინციპებით:
ა) სრულფასოვანი აღზრდა - სააღმზრდელო მუშაობა მიმართულია პიროვნების ფიზიკური, კოგნიტური (შემეცნებითი) და ემოციურ-სოციალური განვითარებისაკენ;
ბ) მოსწავლის შესაძლებლობების გამოვლენა - დამრიგებლის ფუნქციაა მოსწავლის პოტენციური ძალების ამოქმედება და მისი ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლენისათვის სათანადო პირობების შექმნა;
გ) მოსწავლეებში პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარება - დამრიგებელი მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, მონაწილეობა მიიღონ აქტივობების (ზეიმები, ლაშქრობები, ექსკურსიები და სხვ.) დაგეგმვასა და ეხმარება მათ ამ დროს წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაში;
დ) თანამშრომლობის პრინციპი – დამრიგებლის ურთიერთობა მოსწავლეებთან ემყარება თანამშრომლობას, პატივისცემასა და ნდობას.

დამრიგებლის მოვალეობებია:
ა) გააცნოს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს (შემდგომში მშობელი) მათი უფლებები და მოვალეობები (სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ეთიკის კოდექსი, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საკითხები და სხვ.);
ბ) დაწყებით საფეხურზე ჩაატაროს სადამრიგებლო საათი არანაკლებ ორ კვირაში ერთხელ, საბაზო-საშუალო საფეხურებზე - არანაკლებ თვეში ერთხელ. სადამრიგებლო საათის ფარგლებში დამრიგებელმა მოსწავლის ასაკის შესაბამისად უნდა იმუშაოს სხვადასხვა უნარის განვითარებაზე (მაგ.: კითხვის უნარის განვითარება (დაწყებით საფეხურზე), გარემოსდავითი კულტურის განვითარება და სხვ.) სხვადასხვა აქტივობის მეშვეობით.
გ) დაეხმაროს მოსწავლეს აკადემიური თუ სასკოლო გარემოში წამოჭრილი სხვადასხვა პრობლემის გადაჭრაში;
დ) იყოს შუამავალი მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში;
ე) რეგულარულად (მინიმუმ თვეში ერთხელ) მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევის, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატებების შესახებ. დაუშვებელია ერთი მოსწავლის დისციპლინისა და აკადემიური მიღწევის შესახებ სხვა მოსწავლის/მშობლის თანდასწრებით საუბარი;

ვ) საჭიროების შემთხვევაში, შეხვდეს დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდოს მას მოსწავლესთან და სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაცია;
ზ) სასწავლო წლის ბოლოს გააანალიზოს სადამრიგებლო კლასის თითოეული მოსწავლის მიღწევები, გაკვეთილებზე დასწრება და ქცევა მასწავლებლებისგან მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, მოამზადოს თითოეული მოსწავლის მოკლე დახასიათება ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ და მიაწოდოს მშობელს და შეინახოს თავადაც, მოსწავლის განვითარებაზე შემდგომი დაკვირვების მიზნით;
თ) მოსწავლის სხვა სკოლაში გადასვლის შემთხვევაში, დამრიგებელმა უნდა მოამზადოს ინფორმაცია მისი აკადემიური მიღწევისა და გაკვეთილებზე დასწრებისშესახებ და მოათავსოს მოსწავლის პირად საქმეში.

12. საგნობრივი კათედრები

1. სკოლაში არის 5 საგნობრივი კათედრა:

1.1 **ქართული ენისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა,** რომლის შემადგენლობაშიც შედიან ქართული ენისა და ლიტერატურის, ჩვენი საქართველოს, ისტორიის, გეოგრაფიის, სამოქალაქო განათლების/ მოქალაქეობის, მე და საზოგადოების, გარემო და მდგრადი განვითარების მასწავლებლები;

1.2 **უცხოური ენების კათედრა,** რომლის შემადგენლობაშიც შედიან ინგლისური ენის, რუსული ენისა და გერმანული ენის მასწავლებლები;

1.3 **ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა,** რომლის შემადგენლობაშიც შედიან მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, ისტ-ის, ასტრონომიისა (არჩევითი საგანი) და სამედიცინო ბიოლოგიისა და ჯანმრთელობის მასწავლებლები (არჩევითი საგანი);

1.4 **დაწყებითი კლასების კათედრა,** რომლის შემადგენლობაშიც შედიან ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების.

1.5 **სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის კათედრა,** რომლის შემადგენლობაში შედიან სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის, ჭადრაკის, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის, და საგზაო ნიშნებისა და მოძრაობის უსაფრთხოების მასწავლებლები.

2. სკოლაში შექმნილი კათედრები აერთიანებს საგნობრივ ჯგუფებში შემავალ ყველა მასწავლებელს.

3. კათედრების ფუნქციებია:

ა) საგნობრივი ჯგუფის საგნის/საგნების სწავლების კოორდინირება;

ბ) კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება;

გ) საგაკვეთილო პროცესისთვის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და სასკოლო ბიბლიოთეკისთვის საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა და პედაგოგიური საბჭოსთვის წარდგენა;

დ) სხვა კათედრებთან კოორდინირებული მუშაობა (მაგ., ისტორიასა და ქართულ ენასა და ლიტერატურაში საერთო თემატიკის შეთანხმება, ექსკურსიებისთვის საერთო დავალებების მოფიქრება და სხვ.);

ე) ზრუნვა მასწავლებლის პროფესიული განვითარებისთვის;

ვ) რეკომენდაციების შემუშავება სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით;

ზ) შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და გაცდენების ანალიზი;

თ) კათედრის წევრებიდან ირჩევა კათედრის თავმჯდომარე, ერთი სასწავლო წლის ვადით, ხმათა უმრავლესობით. ერთი და იმავე პირის არჩევა კათედრის თავმჯდომარედ შესაძლებელია ზედიზედ სამჯერ.

4. კათედრის თავმჯდომარის ფუნქციებია:

ა) კათედრის შეხვედრების ორგანიზება (დღის წესრიგის მომზადება, ოქმებისა და სხვა დოკუმენტაციის წარმოება-შენახვა);

ბ) კათედრის შეხვედრების შედეგად მიღებული გადაწყვეტილებების მიწოდება სკოლის მართვის ორგანოებისათვის (მაგ. გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო მასალის არჩევის თაობაზე);

გ) მასწავლებლების პროფესიული განვითარებისათვის სასარგებლო აქტივობების (კოლეგებთან შეხვედრების, ტრენინგების, კონფერენციების და სხვა) ორგანიზება.
5. კათედრა იკრიბება სემესტრში მინიმუმ ორჯერ (მათ შორის, პირველი სემესტრის დაწყებამდე და ყოველი სემესტრის დასრულებისას საგნის სწავლების შეჯამების და ანალიზის მიზნით).

13. საგანმანათლებლო რესურსები

სკოლა უზრუნველყოფს სკოლაში არსებული საგანმანათლებლო რესურსების (ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია და სხვ.) ხელმისაწვდომობას მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის.

სკოლაში საგანმანათლებლო რესურსების ტიპებია:

ა) გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები და დამატებითი საგანმანთლებლო რესურსები (სკოლის ბიბლიოთეკა)
ბ) საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსები: ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი - პროექტორი-1.
გ) სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.).
დ) საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია.

გრიფირებული სახელმძღვანელოებისა და სხვა საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი თან ერთვის სასკოლო სასწავლო გეგმას დანართი N 4 და დანართი N 5-ის სახით.

სსსმ მოსწავლის სწავლება განახორციელდება ნებისმიერი კლასის/დონის გრიფირებული ან ადაპტირებული გრიფირებული სახელმძღვანელოთი, მიუხედავად იმისა, თუ რომელ კლასშია ეს მოსწავლე.

14. მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა

14.1 შეფასების მიზანები, პრინციპები და ამოცანები

1. მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და, მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. შეფასება უნდა იძლეოდეს ინფორმაციას მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ.
2. მოსწავლის შეფასება არის სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილი. თანამიმდევრული საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად, მოსწავლის შეფასება უნდა დაეფუძნოს სწავლის კონსტრუქტივისტულ პრინციპებს.
3. მოსწავლის შეფასების ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

ა) აჩვენოს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება;
ბ) ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა და წარმოდგენები;
გ) გამოავლინოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად;
დ) მოიცვას სამივე კატეგორიის (დეკლარატიულის, პროცედურულის, პირობისეულის) ცოდნა;
ე) აჩვენოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში.

ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი მიენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ.

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ ინფორმაციის/ მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას 3 წლის ვადით.

14.2. მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასება დონეებისა და ნიშნების მიხედვით

შპს კერძო სკოლა „ივერონი“ იყენებს შეფასების ხუთდონიან და ათქულიან სისტემას. 10 ყველაზე მაღალი ნიშანია, 1 კი – ყველაზე დაბალი. ათქულიანი სისტემა, ერთი მხრივ, უფრო ზუსტი შეფასების საშუალებას იძლევა, მეორე მხრივ, მეტ საშუალებას აძლევს მასწავლებელს, აჩვენოს მოსწავლეს პროგრესი თუ რეგრესი.

ქულები	შეფასების დონეები
10	მაღალი
9	
8	საშუალოზე მაღალი
7	
6	საშუალო
5	
4	საშუალოზე დაბალი
3	
2	დაბალი
1	

შეფასების მიზნიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეთა შეფასება დაუკავშირდეს არა მხოლოდ სწავლების შედეგს, არამედ სწავლის პროცესსაც. ამის უზრუნველსაყოფად სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი.

განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს;

განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. მისი მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლის წინსვლასა და განვითარებას. განმავითარებელი შეფასებით ფასდება ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესი, მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარი, ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესი, ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარი, ასევე დგინდება წინარე ცოდნა/წარმოდგენები.

14.3. შეფასების პრინციპები საფეხურების მიხედვით

საფეხურები	შეფასება
დაწყებითი	ა) I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში მხოლოდ განმავითარებელი შეფასება გამოიყენება. ამ კლასებში წლის ბოლოს საგნის მასწავლებელმა უნდა დაწეროს მოსწავლის მოკლე წერილობითი შეფასება, რომელშიც დაახასიათებს მოსწავლეს, აღნიშნავს მის წარმატებებს და მიუთითებს, რაში სჭირდება მუშაობა;
	მოსწავლეს დახმარება საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოსავლენად. ბ) კლასის დამრიგებელმა, საკუთარი და სხვა მასწავლებლებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, IV კლასის ბოლოს უნდა დაწეროს შემაჯამებელი წერილობითი შეფასება. გ) V კლასის მეორე სემესტრსა და VI კლასში გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება, მოსწავლე ფასდება ათქულიანი სისტემით, ყველაზე დაბალი ქულა არის 1, ხოლო ყველაზე მაღალი ქულა - 10; დ) სპორტის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულ საგნებში:

	„ჭადრაკი“ (I-II კლ) და ,,ფიზიკური აღზრდა“ (I-VI კლ) გამოიყენება ჩათვლის სისტემა - ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა
საბაზო	VII-IX კლასებში, გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. მოსწავლე ფასდება ათქულიანი სისტემით, ყველაზე დაბალი ქულა არის 1, ხოლო ყველაზე მაღალი ქულა - 10. სპორტის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულ საგანში-,,ფიზიკური აღზრდა და სპორტი“-ჩათვლის სისტემა ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა
საშუალო	X-XII კლასებში -განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. მოსწავლე ფასდება ათქულიანი სისტემით, ყველაზე დაბალი ქულა არის 1, ხოლო ყველაზე მაღალი ქულა - 10. სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულ საგანში - ,,ფიზიკური აღზრდა და სპორტი“, საგანში „საგზაო ნიშნები დამოძრაობის უსაფრთხოება“, არჩევით საგნებში, ასევე პროექტულ სწავლებაში „მოქალაქეობა“ და „მუსიკა“/„ხელოვნება“ - მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა.

14.4. მოსწავლის შეფასების კომპონენტები

სემესტრის მანძილზე მოსწავლეები ფასდებიან სამი კომპონენტის მიხედვით:



1. საშინაო დავალება
2. საკლასო დავალება
3. შემაჯამებელი დავალება

1. სემესტრის განმავლობაში განმავითარებელი შეფასება გამოიყენება ნებისმიერ კომპონენტში.

2. სემესტრის განმავლობაში განმსაზღვრელი შეფასებით მოსწავლეები ფასდებიან შემდეგ კომპონენტებში:

ა) მიმდინარე საკლასო დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები), ბ) მიმდინარე საშინაო დავალება (VII-XII კლასები),

გ) შემაჯამებელი დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები). ყველა აღნიშნულ კომპონენტს ერთნაირი წონა აქვს.

	I-IV კლასები და V კლასის პირველი სემესტრი	V კლასის მეორე სემესტრი და VI კლასი	საბაზო-საშუალო საფეხურები
მიმდინარე საშინაო დავალება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება
მიმდინარე საკლასო დავალება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება
შემაჯამებელი დავალება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება

საშინაო დავალების კომპონენტით ფასდება ნებისმიერი ტიპის დავალება (წერითი, ზეპირი, ექსპერიმენტი, ნამუშევარი (მაგ. ნახატი, ესე და სხვ.), რასაც მოსწავლე სახლში ამზადებს.

საშინაო და საკლასო დავალებებში განმავითარებელი შეფასების გამოყენება განსაკუთრებით მაშინ არის სასურველი, როცა მოსწავლე ახალი ცოდნის/უნარების შეძენის საწყის ეტაპზეა. ამ დროს შეცდომების დაშვება, მათი აღმოჩენა-გაანალიზება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია.

საგნობრივი ჯგუფების სპეციფიკიდან გამომდინარე საშინაო და საკლასო დავალებათა ტიპები შეიძლება იყოს: ინფორმაციის მოძიება, პრეზენტაცია, სავარჯიშოების შესრულება, ექსპერიმენტი, დისკუსია და სხვა. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, თითოეულ მასწავლებელს შემუშავებული აქვს სხვადასხვა აქტივობის ინდივიდუალური შეფასების სქემები.

სასკოლო სასწავლო გეგმას დანართი №6 სახით თან ერთვის თითოეული მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკები.

შემაჯამებელი დავალების კომპონენტი უკავშირდება სწავლა-სწავლების შედეგს. ამ კომპონენტში ფასდება ერთი სასწავლო მონაკვეთის (თემა, თავი, პარაგრაფი, საკითხი) შესწავლა-დამუშავების შედეგად მიღწეული შედეგები. კონკრეტული სასწავლო ერთეულის დასრულებისას მოსწავლემ უნდა წარმოაჩინოს სტანდარტით განსაზღვრული ცოდნა და უნარები.

შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულოა კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება (მაგ., ესეს დაწერა, პროექტის მომზადება, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რეფერატის დაწერა, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, მოთხრობის შედგენა, მონაცემთა ბაზის შექმნა, კონკრეტული

პრობლემის გადაჭრა, საველე-გასვლითი სამუშაოს ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადება და სხვ.). წლის განმავლობაში ყველა კლასში განსაზღვრულია **მაქსიმუმ 2** კომპლექსური დავალების ჩატარება (სემესტრში ერთი კომპლექსური დავალება).

3. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, V კლასის მეორე სემესტრის, VI კლასის და საბაზო-საშუალო საფეხურების თითოეული საგნისათვის განსაზღვრულია სემესტრის განმავლობაში ჩასატარებელი შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო მინიმალური რაოდენობა.
მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება (ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი სავალდებულო მინიმუმი და სკოლის მიერ დამატებით დადგენილი, ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში).

V-XI კლასებში სხვადასხვა საგნებში ჩატარდება სადიაგნოსტიკო წერები:

14. 5. შემაჯამებელი დავალებების აღდგენის წესი

მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება, გაცდენის შემთხვევაში მოსწავლეს ენიშნება აღდგენითი შემაჯამებელი დავალება, რომელიც შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალური ან ჯგუფური გრაფიკის მიხედვით, გაკვეთილების შემდეგ.

შემაჯამებელი დავალების აღდგენა მოხდება სკოლაში დაბრუნებიდან არაუგვიანეს ორი კვირის ვადაში.

მობილობის შემთხვევაში, შემაჯამებელი დავალების აღდგენა ხდება სკოლის მიერ ამორიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემამდე.
შემაჯამებელი დავალების აღდგენა ხორციელდება იმავე, იდენტური ტიპის დავალებით. კერძოდ, აღდგენილი შემაჯამებელი დავალება უნდა ჩატარდეს იმავე თემაზე, იმავე ფორმატით მხოლოდ განსხვავებული ვარიანტით.

თითოეული მასწავლებელი ვალდებულია, კათედრას წარუდგინოს მის მიერ კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების დოკუმენტაცია. აღნიშნულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი უნდა იყოს: შემაჯამებელი დავალების ნომერი, შემაჯამებელი დავალების პირობა, საგნის სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურება კონკრეტული შემაჯამებელი დავალება; კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდება ეს დავალებები; ასევე, მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული შემაჯამებელი დავალების რამდენიმე ნიმუში ან შესრულებული შემაჯამებელი დავალების ამსახველი ვიზუალური მასალა.

სასკოლო სასწავლო გეგმას დანართი №7 სახით თან ერთვის შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა კლასების მიხედვით.

14. 6. განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობები და გაანგარიშების წესები

სკოლას, ესგ-ს მუხლი 32. პუნქტი 3-ის შესაბამისად არჩეული აქვს შეფასების ა) ვარიანტი. კერძოდ, მოსწავლე ფასდება: I – მიმდინარე საკლასო დავალებაში (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები), მიმდინარე საშინაო დავალებაში (VII-XII კლასები) და შემაჯამებელ დავალებაში (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები მიღებული შეფასებებით;

ქულათა სახეობები	გაანგარიშების წესი
საგნის სემესტრული ქულა სემესტრის განმავლობაში, საგანში მიღებული შეფასება.	მოსწავლის მიერ სემესტრის განმავლობაში სამივე კომპონენტში (საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი) მიღებული ქულების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ქულების რაოდენობაზე; მიღებული ქულა უნდა დამრგვალდეს მთელის სიზუსტით (მაგ., 6.15 მრგვალდება 6-მდე, 7.49 მრგვალდება 7-მდე, 8.5 მრგვალდება 9-მდე); იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს არა აქვს შესრულებული ყველა შემაჯამებელი დავალება, მისი სემესტრული ქულის გამოსაანგარიშებლად სამივე კომპონენტში მიღებული ქულების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ქულებისა და შეუსრულებელი შემაჯამებელი დავალებების რაოდენობის ჯამზე.
საგნის წლიური ქულა სემესტრული ქულებიდან გამომდინარე შეფასება საგანში.	საგნის წლიური ქულის გამოსაანგარიშებლად საგნის სემესტრული ქულების ჯამი უნდა გაიყოს ორზე; საგნის წლიური ქულა მრგვალდება მთელის სიზუსტით (მაგ., 7.25 მრგვალდება 7-მდე, 4.49 მრგვალდება 4-მდე, 9.5 მრგვალდება 10-მდე); საგნის წლიური გამოცდის არსებობის შემთხვევაში, ამ საგნის წლიური ქულა გამოითვლება, სემესტრული ქულების და საგნის გამოცდის ქულის ჯამი გაიყოფა სამზე. თუ მოსწავლეს, სკოლაში სემეტრის მიმდინარეობისას გადმოსვლის გამო, მოუხდება განსხვავებული საგნების სწავლა და მანამდე ნასწავლ საგანში საშინაო, საკლასო და შემაჯამებელ დავალებებში მიღებული აქვს შეფასება, რომლის საშუალო არითმეტიკული არის 5.0 ან მეტი, ეს ქულა დაუფიქსირდება ნასწავლი საგნის სემესტრულ/წლიურ ქულად (თუ საგნის სწავლება მეორე სემესტრში არ გრძელდება). ამასთან, სკოლა ვალდებულია შეაფასოს მოსწავლე ახალ საგანში, თუ ეს ესწრება სემესტრის დასრულებამდე. მოსწავლის მიერ სემესტრის დასრულების შემდეგ სკოლაში გადმოსვლის გამო, სემესტრში განსხვავებული საგნის სწავლის შემთხვევაში, განსხვავებული საგნების სემესტრული ქულები აღირიცხება, როგორც ორი დამოუკიდებელი საგნის წლიური ქულა.
საფეხურის საერთო ქულა საფეხურის მანძილზე ნასწავლი ყველა საგნის	საფეხურის ქულის გამოთვლისას ჯამდება საფეხურის მანძილზე ნასწავლი ყველა საგნის წლიური ქულა და ჯამი იყოფა ქულების საერთო რაოდენობაზე; საფეხურის საერთო ქულა მრგვალდება მეათედის სიზუსტით

წლიური ქულის საშუალო ქულა.	(მაგ., 6.43 მრგვალდება 6.4-მდე, 7.58 მრგვალდება 7.6-მდე). საფეხურის ქულის გამოთვლისას, დამატებითი სავალდებულო საგნისშეფასება არ იანგარიშება

14. 7. კლასისა და საფეხურის დაძლევა

კლასი/საფეხური	დაძლევის წესი
კლასი	კლასი დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის მიერ კონკრეტული კლასის თითოეული საგნის წლიური ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და მოსწავლეს მიღებული აქვს ჩათვლა სპორტის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულ საგნებში და არჩევით საგნებში.
დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის საერთო ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, დაძლეული აქვს V-VI კლასები, რაც აძლევს მას საბაზო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებას.
საბაზო საფეხური	საბაზო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის საერთო ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და დაძლეული აქვს საბაზო საფეხურში შემავალი ყველა კლასი, რაც აძლევს მას საბაზო განათლების ატესტატის აღების ან/და საშუალო საფეხურზე გადასვლის უფლებას.
საშუალი საფეხური	საშუალო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის საერთო ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და დაძლეული აქვს საშუალო საფეხურში შემავალი ყველა კლასი.

14. 8. გამოცდის ტიპები

გამოცდის ტიპები	განხორციელების პირობები
სემესტრული გამოცდა;	სემესტრული გამოცდა ინიშნება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მოსწავლე თვლის, რომ მას უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის. სემესტრული გამოცდის დანიშვნისთვის მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი წერილობით მიმართავს სკოლის დირექტორს: პირველი სემესტრის შეფასების შემთხვევაში - მეორე სემესტრის დაწყებიდან ერთი კვირის ვადაში, ხოლო მეორე სემესტრის შემთხვევაში - სემესტრის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში. დირექტორი განიხილავს საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მოსწავლის სემესტრულ გამოცდაზე დაშვება-არდაშვების შესახებ. დაშვებაზე უარის შემთხვევაში, გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული. პირველი სემესტრის სემესტრული გამოცდა ინიშნება მეორე სემესტრის დაწყებიდან 2 კვირის ვადაში, ხოლო მეორე სემესტრის სემესტრული გამოცდა - სემესტრის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში. გამოცდაზე გასული მოსწავლის საგნის სემესტრული ქულა გამოითვლება შემდეგი წესით: გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულას და ჯამი იყოფა ორზე. სკოლამ უზრუნველყოფს სემესტრული გამოცდის ობიექტურად და მიუკერძოებლად ჩატარებას.
საშემოდგომო გამოცდა	იმ შემთხვევაში თუ მოსწავლის საგნის წლიური ქულა არის 5-ზე ნაკლები, სკოლა მოსწავლეს დაუნიშნავს საშემოდგომო გამოცდა ამ საგანში. საშემოდგომო გამოცდის ჩატარების წესი: საშემოდგომო გამოცდა ტარდება ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე 3 კვირით ადრე. ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს 10 დღისა საშემოდგომო გამოცდის კომისია ამტკიცებს საშემოდგომო გამოცდის შედეგებს და წარადგენს სკოლის პედაგოგიურ საბჭოზე მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანის შესახებ

	გადაწყვეტილების მისაღებად. საშემოდგომო გამოცდამდე სკოლა უწევს კონსულტაციებს მოსწავლეებს იმ საგანში/საგნებში, რომლებშიც მათ დაენიშნათ აღნიშნული ტიპის გამოცდა. გამოცდის ფორმა და საგამოცდო საგნების კონკრეტული ვადები მტკიცდება სკოლის დირექტორის ბრძანებით; მოსწავლე საგნის/საგნების წლიურ შეფასებას მიიღებს საშემოდგომო გამოცდის საფუძველზე (საშემოდგომო გამოცდის ქულა გახდება საგნის წლიური ქულა).
ექსტერნატის გამოცდა	ექსტერნატის გამოცდით ზოგადი განათლების მიღების წესი და პირობები განისაზღვრება კანონმდებლობით. ექსტერნატის გამოცდას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების პროგრამებს ძირითადად დამოუკიდებლად ძლევენ და ექსტერნის გამოცდას აბარებენ შესაბამისი განათლების დასადასტურებლად, რაც მათ შემდეგ კლასში/საფეხურზე სწავლის გაგრძელების ან საბაზო/საშუალო განათლების ატესტატის მიღების საშუალებას მისცემს, აბარებენ აგრეთვე ის მოსწავლეები, რომლებზედაც გავრცელდა კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30%-ზე მეტის გაცდენის გამო ჩასაბარებელი ექსტერნის გამოცდა.
წლიური გამოცდა	2023-2024 სასწავლო წელს არ არის გათვალისწინებული

14.9 მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღიარება

1. მოსწავლე, რომლის საშუალო საფეხურის საერთო ქულაა 10 დამრგვალების გარეშე იღებს სრული ზოგადი განათლების ოქროს მედალოსნის ატესტატს.
2. მოსწავლე, რომლის საშუალო საფეხურის საერთო ქულა არის 9.8 ან მეტი იღებს სრული ზოგადი განათლების ვერცხლის მედალოსნის ატესტატს.
3. პირზე, რომელმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის კლასის/კლასების, ან საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამა/პროგრამები წარჩინებით დაძლია ექსტერნატის გამოცდა, ოქროსა და ვერცხლის მედალოსნის ატესტატი არ გაიცემა.
4. აღნიშნული მოქმედება არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 98/ნ ბრძანების საფუძველზე, უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლების აღიარების

შემდეგ, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო საგნები, რომლებთან შესაბამისობაც არ იქნა დადგენილი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დაძლიეს ექსტერნატის ფორმით.

14.10 გაცდენები

1. მოსწავლეთა გაცდენები აღირიცხება მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ელექტრონულ ჟურნალში, მათ შორის, ამ მუხლის მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული გაცდენები. გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრების ყოველდღიური აღრიცხვის წარმოებაზე პასუხისმგებელია საგნის მასწავლებელი. თითოეული მასწავლებელი გაკვეთილის დასაწყისში აღრიცხავს მოსწავლეთა დასწრებას.
2. თუ საბაზო-საშუალო საფეხურებზე მოსწავლემ სასწავლო წლის განმავლობაში გააცდინა კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი, მოსწავლე ფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე.
3. კონკრეტული საგნისთვის კონკრეტული სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების 30%-ში არ იანგარიშება ის გაცდენილი დღე/დღეები, როცა ჩატარდა შემაჯამებელი დავალება, თუკი ის მოგვიანებით მოსწავლემ აღადგინა.
4. სკოლა შინ სწავლების რეჟიმზე გადაიყვანს იმ მოსწავლეებს, რომლებსაც სჭირდებათ მკურნალობა ერთ თვეზე მეტი ვადით და აღნიშნული ცნობილი ხდება სკოლისათვის სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში მოსწავლეზე, შინ სწავლებაზე გადასვლის მომენტიდან, არ გავრცელდება ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა.
5. იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ ეროვნულ და საერთაშორისო სასპორტო, სახელოვნებო ღონისძიებებში, აგრეთვე, საერთაშორისო და ეროვნულ საგნობრივ ოლიმპიადებში, სკოლის გაცდენის შემთხვევაში, მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, სკოლის დირექტორი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების კონკრეტული მოსწავლის მიმართ გაუვრცელებლობის თაობაზე.

14. 11. შინსწავლება

სკოლა ვალდებულია შინსწავლების რეჟიმზე გადაიყვანოს ის მოსწავლეები, რომლებიც არ არიან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, მაგრამ საჭიროებენ მკურნალობას ერთ თვეზე მეტი ვადით და აღნიშნული ცნობილი ხდება სკოლისათვის სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე;

სკოლის მიერ შედგენილი განრიგის შესაბამისად, სკოლის მიერ განსაზღვრული მასწავლებელი, ახორციელებს მოსწავლესთან ვიზიტს; (შესაძლებელია განსაზღვრული მასწავლებლი არ ასწავლიდეს შინსწავლებაზე გადაყვანილ მოსწავლეს).

მოსწავლის შინსწავლების შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფს შინსწავლებაზე მყოფი მოსწავლისთვის შესაბამისი კლასის საათობრივი ბადით განსაზღვრული თითოეული

საგნისთვის (გარდა სპორტის საგნობრივი ჯგუფით გათვალისწინებული საგნებისა) კვირაში მინიმუმ ერთი გაკვეთილის ჩატარებას.

მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფს შემაჯამებელი დავალებების ჩატარებაზე/აღდგენაზე მოსწავლისთვის ხელშეწყობას.

მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში, სპორტის საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნების შეფასებისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოსწავლის ფიზიკური მდგომარეობა.

15. ინკლუზიური განათლება

ინკლუზიური განათლება გულისხმობს თანაბრად ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო პროცესს, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება.

15.1 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე

1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონეა მოსწავლე (შემდგომში - სსსმ მოსწავლე), რომელსაც აქვს სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები, ვერ ძლევს შესაბამისი კლასისათვის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მინიმალურ მოთხოვნებს ან/და საჭიროებს ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციას/გაფართოებას, გარემოს ადაპტაციას, ალტერნატიულ სასწავლო გეგმას ან/და სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას.
2. სსსმ მოსწავლე შეიძლება იყოს მოსწავლე, რომელსაც აქვს:
ა) ფიზიკური შეზღუდვა;
ბ) ინტელექტუალური განვითარების დარღვევა;
გ) სწავლის უნარის დარღვევა;
დ) სენსორული განვითარების დარღვევა (სმენის და/ან მხედველობის);
ე) მეტყველების განვითარების დარღვევა;
ვ) ქცევითი და ემოციური დარღვევა;
ზ) გრძელვადიანი ჰოსპიტალიზაციის საჭიროება;
თ) სოციალური ფაქტორებით გამოწვეული სირთულეები სწავლაში, რის გამოც ვერ ძლევს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.
ი) ენობრივი ბარიერის გამო გამოწვეული სირთულეები სწავლაში.

3. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურება ხდება სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის (შემდგომში - მულტიდისციპლინური გუნდი) შეფასებისა და დასკვნის საფუძველზე, ასევე მულტიდისციპლინური გუნდის მიერ განისაზღვრება სსსმ მოსწავლისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციის საჭიროება. ადაპტაციის სახეებია: მოდიფიკაცია, აკომოდაცია, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ალტერნატიული სასწავლო მიზნები, ალტერნატიული

სასწავლო გეგმა ან/და გაფართოებული სასწავლო გეგმა.
4. სსსმ მოსწავლისთვის სკოლა უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიკაციას, სასწავლო გარემოს აკომოდაციას და საჭიროების შემთხვევაში ალტერნატიული სასწავლო მიზნების შემუშავებას.
5. მოსწავლისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიკაცია ნიშნავს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების რაოდენობრივ და/ან თვისებრივ ცვლილებებს, რაც შესაძლებელია გულისხმობდეს სასწავლო მიზნების რაოდენობრივ შემცირებას, გამარტივებას მოსწავლის მზაობისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.
6. სასწავლო გარემოს აკომოდაცია ნიშნავს სასწავლო გარემოს ისეთი ცვლილებას, რომელიც არ იწვევს ეროვნული სასწავლო გეგმის შინაარსის შეცვლას, არამედ ხელს უწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს და პირობების შექმნას ქვემოთ ჩამოთვლილ კომპონენტებში:
ა) ინსტრუქციის აკომოდაცია;

ბ) გარემო პირობების აკომოდაცია;გ) შეფასების აკომოდაცია;
დ) დროის, გრაფიკის აკომოდაცია.

7. ალტერნატიული სასწავლო მიზნების შემუშავება ხდება მძიმე, ღრმა და მრავლობითი დარღვევის მქონე მოსწავლეებისთვის, თუ შეუძლებელია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ზოგიერთი საგნის სწავლება. ალტერნატიული სასწავლო გეგმა გონებრივი განვითარების მძიმე და მრავლობითი დარღვევების მქონე მოსწავლეებისთვის არის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს და აღწერს ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურისათვის საგნების საგანმანათლებლო სტანდარტს, სწავლების რეკომენდაციებს, მიღწევების, ფუნქციური უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეძენის საშუალებებს. ალტერნატიული სასწავლო გეგმის მიხედვით თითოეული საგანი ისწავლება მრავალფეროვანი სასწავლო სტრატეგიების გამოყენებით და მოსწავლეს ფუნქციურ და აკადემიურ ცოდნას აძლევს. ალტერნატიული სასწავლო გეგმა განკუთვნილია მძიმე გონებრივი განვითარების და მრავლობითი დარღვევების მქონე მოსწავლეებისთვის როგორც სპეციალიზებულ, ასევე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლის შემთხვევაში და ასევე შინ სწავლებისას. ალტერნატიული სასწავლო გეგმის ფუნდამენტური პრინციპია – შედეგზე ორიენტირება მრავალფეროვანი, მოსწავლეზე ფოკუსირებული სწავლების ფორმებისა და სტრატეგიების გამოყენებით. გონებრივი განვითარების მძიმე და მრავლობითი დარღვევების მქონე მოსწავლეების სწავლებისას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე ხელმძღვანელობს ალტერნატიული სასწავლო გეგმით. ალტერნატიული სასწავლო გეგმა ზოგადი და სპეციალიზებული განათლების სფეროში მოღვაწე ყველა სუბიექტს ავალდებულებს უზრუნველყოს მძიმე გონებრივი განვითარების და მრავლობითი დარღვევების მქონე მოსწავლეთა სწავლების მაღალი სტანდარტი, რომლის ფუნდამენტური პრინციპი (ეროვნული სასწავლო გეგმის მსგავსად) – სასწავლო შედეგებზე ორიენტირებაა.
ალტერნატიული სასწავლო გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელია: სპეციალიზირებულ სკოლაში საგნის მასწავლებელი, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში საგნის მასწავლებელი სპეციალური მასწავლებელთან ერთად, შინ სწავლებისას – ყველა ის მასწავლებელი, რომელიც შინ სწავლების პროგრამას ახორციელებს.

15.2 ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინებით ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციით შექმნილი სასწავლო გეგმა.
2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ასახავს შესაბამისი კლასის დამთავრებისთვის მოსალოდნელ სასწავლო შედეგებს, მათ მისაღწევად განსაზღვრულ სწავლების სტრატეგიასა და დამატებით საშუალებებს/ღონისძიებებს, შესაბამისი სასწავლო გარემოს შესაქმნელად გასატარებელ ზომებს.
3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს სსსმ მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას და მისი მიღწევის გზებს, მოსწავლის ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, რომლებიც აუცილებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.
4. სკოლა მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურებიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო უკვე იდენტიფიცირებული სსსმ მოსწავლეებისთვის - ორი კვირის ვადაში ქმნის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.
5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება მოიცავდეს ყველა საგანს ან რომელიმე კონკრეტულ საგანს/საგნებს სსსმ მოსწავლის საჭიროების შესაბამისად.
6. ყოველი სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში დეტალურად უნდა განისაზღვროს:
ა) სასწავლო შედეგები, სწავლების სტრატეგიები და სასწავლო (როგორც საკლასო, ისე საშინაო) აქტივობები შერჩეულ საგანში/საგნებში;
ბ) დრო, რომელსაც მასწავლებელი დაუთმობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევას თითოეულ საგანში;
გ) მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ჯგუფური/ინდივიდუალური მეცადინეობები, მეცადინეობების გრაფიკი, ადგილი და ხანგრძლივობა;
დ) დამატებით ჯგუფურ/ინდივიდუალურ მეცადინეობებზე პასუხისმგებელი პირი: საგნის მასწავლებელი, მშობელი და/ან სპეციალური მასწავლებელი, საჭიროების შემთხვევაში სხვა სპეციალისტი;
ე) სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი რესურსი (სახელმძღვანელოები და მოსწავლისათვის საჭირო სხვა საგანმანათლებლო/განმავითარებელი რესურსი) და რესურსით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, მათ შორის, მშობელიც;
ვ) მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ტექნიკური რესურსები.

7. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ბავშვის კოგნიტური, აკადემიური, საგნობრივი კომპეტენციების, ინტერესების, სოციალური, ქცევითი, ემოციური, მოტორული და სხვა სფეროების შესახებ, ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.

15.3 ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი ისგ ჯგუფი

1. სკოლის დირექტორის ბრძანებით თითოეული სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური

სასწავლო გეგმის შესამუშავებლად განისაზღვრება ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას. ისგ-ს ჯგუფი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს ისგ-ს შიდა მონიტორინგში და მასალა წარუდგინოს სკოლის დირექტორს.
2. სკოლის ისგ ჯგუფი შედგება შემდეგი წევრებისაგან:

ა) სსსმ მოსწავლის კლასის დამრიგებელი;

ბ) საგნის მასწავლებლები, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან მოსწავლეს;

გ) სკოლაში ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი/სპეციალისტები;

დ) სსსმ მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი;
ე) საჭიროების შემთხვევაში მოწვეული სხვა სპეციალისტი.

3. ისგ ჯგუფს უნდა ჰყავდეს კოორდინატორი, რომელიც წარმართავს ჯგუფის წევრების მუშაობას და პასუხისმგებელია ჯგუფის საქმიანობაზე. ჯგუფს ხელმძღვანელობას უწევს დამრიგებელი.
4. ისგ ჯგუფი იკრიბება, სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ 4-ჯერ; ისგ ჯგუფის წევრები შეხვედრაზე განიხილავენ სსსმ მოსწავლის მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესს, მის სასწავლო შედეგებს, გამოწვევებს, გამოყენებული სწავლების სტრატეგიების ეფექტურობას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საჭიროებას, სწავლებაში ახალი მიდგომებისა და მეთოდების დანერგვის საჭიროებას და აუცილებელ რესურსებს.
5. ისგ ჯგუფის შეხვედრებზე სპეციალური მასწავლებელი/კლასის დამრიგებელი აწარმოებს სხდომის ოქმებს. ყველა სხდომის ოქმი ინახება მოსწავლის პირად საქმეში.
6. სასწავლო წლის დასასრულს, ისგ ჯგუფის წევრი თითოეული მასწავლებელი აფასებს შესაბამის საგანში სსსმ მოსწავლის მიღწევების (ცოდნა, უნარ-ჩვევები) შესაბამისობას ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო შედეგებთან დაკავშირებულ ინფორმაციას და ანგარიშს წარუდგენს დირექტორს, პედაგოგიურ საბჭოს და მშობელს.

15.4 სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები

1. სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება ხდება იმავე პრინციპით, როგორც ფასდება ნებისმირი სხვა მოსწავლის აკადემიური მიღწევა. თუ სსსმ მოსწავლე განათლებას იღებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, ფასდება მის მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევის დონე. სსსმ მოსწავლე, რომელიც წარმატებით ძლევს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, ფასდება მაღალი ქულით.
2. სსსმ მოსწავლისთვის სემესტრული, წლიური და საფეხურის ქულები გამოითვლება იმავე პრინციპით, როგორც სხვა მოსწავლეებისთვის.
3. მულტიდისციპლინური გუნდის წინასწარი დასკვნის საფუძველზე, გამონაკლისის სახით, შესაძლებელია:
ა) სსსმ მოსწავლე გადავიდეს მომდევნო კლასში იმ შემთხვევაში, თუ ის, დასკვნის საფუძველზე, არ ესწრება ერთ ან რამდენიმე საგანს და არ აქვს შეფასება შესაბამის საგანში/საგნებში.

ბ) სსსმ მოსწავლის წლიური ქულა გამოანგარიშდეს საგნის/საგნების ერთი სემესტრის შეფასების საფუძველზე.
4. საბაზო/საშუალო საფეხურის სსსმ მოსწავლის მიერ სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების 30 % და მეტი გაცდენის შემთხვევაში, ის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად, ექსტერნატის ფორმით აბარებს გამოცდას.

15.5 სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლება

1. იმ შემთხვევაში, თუ სსსმ მოსწავლეს ჯანმრთელობის მდგომარეობა არ აძლევს სკოლაში სიარულის საშუალებას, სკოლა მიმართავს მულტიდისციპლინურ გუნდს, რომლის დასკვნის საფუძველზეც სსსმ მოსწავლე სწავლას განაგრძობს შინ სწავლების ფორმით. ამ შემთხვევაში მოსწავლე ირიცხება სკოლაში, მაგრამ არ ესწრება გაკვეთილებს. სკოლა უდგენს მას ინდივიდუალური სწავლების სპეციალურ გეგმას, რომლის მიხედვითაც მოხდება სსსმ მოსწავლის შინ სწავლება.
2. მულტიდისციპლინური გუნდი განსაზღვრავს და სკოლასთან და მშობელთან ათანხმებს სსსმ მოსწავლის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.
3. შინ სწავლების მეთოდით გათვალისწინებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად იქნება მიახლოებული ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. სკოლა დაადგენს განრიგს, რომლის მიხედვითაც სკოლის მიერ განსაზღვრული საგნის მასწავლებელი და საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური მასწავლებელი განახორციელებენ სსსმ მოსწავლესთან ვიზიტებს. სკოლამ/ისგ ჯგუფმა უნდა განახორციელოს შინ სწავლების პროცესის მონიტორინგი სკოლის მიერ შერჩეული ფორმატით.
4. შინ სწავლების პროცესში ჩართული იქნება სსსმ მოსწავლის მშობელი, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს ყოველდღიური დავალებების შესრულებაში.
5. შინ სწავლების პროცესში შესაძლებელის გამოყენებულ იქნეს ინტერნეტი და ვიდეოკონფერენციები.
6. სსსმ მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში სკოლა უზრუნველყოფს შინ სწავლებაზე მყოფი მოსწავლისათვის შესაბამისი კლასის საათობრივი ბადით განსაზღვრული თითოეული საგნის (გარდა ფიზიკური აღზრდისა (სპორტი)) კვირაში მინიმუმ ერთი აკადემიური საათის ოდენობით ჩატარებას.

იმისათვის, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლემ (სსსმ) სკოლაში თავი უსაფრთხოდ და დაცულად იგრძნოს:

- სკოლა ქმნის სამუშაო ჯგუფს, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის მიმართულების განსაზღვრას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას.
- სკოლის შენობის შესასვლელთან არსებულ კიბეზე გაკეთებულია პანდუსი, ხოლო პირველ სართულზე დაბრკოლებების გადასალახავად არსებობს მინი- პანდუსები; ადაპტორებული სველი წერტილი, ლაბორატორია და ბიბლიოთეკა განთავსებულია პირველ სართულზე; აღნიშნული რესურსების საშუალებით სსსმ მოსწავლეები იოლად შეძლებენ გადაადგილებას და ურთიერთობას თანატოლებთან.
- სსსმ მოსწავლის საჭიროების შესაბამისად, იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;

- მასწავლებელს, მულტიდისციპლინურ გუნდთან შეთანხმებით, საჭიროებისამებრ, შეეძლება სსსმ მოსწავლეს შეუცვალოს გაკვეთილები ან შეუმციროს რაოდენობა.
- მასწავლებელს შეეძლება საჭიროებისამებრ, შეიმუშაოს ალტერნატიული აქტივობები;
- ცოდნის ხარისხის გაზრდის მიზნით, ჩაუტაროს დამატებითი მეცადინეობა, შეაფასოს ინდივიდუალური მიღწევების მიხედვით;
- სკოლა წაახალისებს მოსწავლეს, ზოგჯერ უბიძგებს კიდეც, გახდეს დამოუკიდებელი, რამდენადაც ეს მისთვის იქნება შესაძლებელი;
- სკოლა ჩამოუყალიბებს მოსწავლეს სხვადასხვა უნარს (კითხვის, წერისა და აზროვნების უნარები, რომელიც დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის არის საჭირო);
- ვიზუალური გზით სწავლებისას გამოყენებული იქნება ნახატმანიპულაციები, (მათემატიკის) დიაგრამები, ილუსტრირებული სახელმძღვანელოები, ვიდეოები, ფორმატები, სლაიდები და სხვა თვალსაჩინოებები;
- გამოყენებული იქნება სხვადასხვა თამაში სოციალური განვითარებისთვის;
- სსსმ მოსწავლის სწავლების პროცესში აქტიურად იქნება ჩართული სსსმ მოსწავლის მშობელი.

ამჟამად სკოლაში ირიცხება 1 სსსმ მოსწავლე. მისთვის შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები მულტიდისციპლინური გუნდის რეკომენდაციების საფუძველზე. სკოლამ უზრუნველყო შესაბამისი ადამიანური რესურსის მოძიება (სპეციალური მასწავლებლი)

სასკოლო სასწავლო გეგმას დანართი №8 სახით თან ერთვის სსსმ მოსწავლისათვის შესადგენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში.

15. 6 სპეციალური მასწავლებელი

სპეც. მასწავლებელი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელს უწყობს საგნის მასწავლებელს/ებს სსსმ მოსწავლისათვის ადეკვატური სასწავლო გარემოს შექმნაში და სსსმ მოსწავლის სენსომოტორულ, კოგნიტურ, ემოციურ და სოციალურ განვითარებაში

სპეც. მასწავლებლის ფუნქციაა:

ა) ხელი შეუწყოს სსსმ მოსწავლესა და კლასის დანარჩენ მოსწავლეებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და ჯგუფთან მიკუთვნებულობის ხარისხის გაზრდას;

ბ) დაეხმაროს საგნის მასწავლებელს/ებს, როგორც სსსმ მოსწავლის კლასში ქცევის, ასევე, ზოგადად, კლასის მართვაში;

გ) დაეხმაროს და ასწავლოს კომუნიკაციის სირთულეების მქონე სსსმ მოსწავლეს კომუნიკაციის დამხმარე ან ალტერნატიული საშუალებებით ურთიერთობა და სწავლის პროცესში მათ გამოყენება;

დ) დაეხმაროს საგნის მასწავლებელს/ებს, მშობლებსა და სხვა სპეციალისტებს, გამოიყენონ კომუნიკაციის დამხმარე და ალტერნატიული ტექნოლოგიები იმ მოსწავლეებთან ურთიერთობისას, რომელთაც კომუნიკაციის სირთულეები აქვთ;

ე) დაეხმაროს სსსმ მოსწავლეს სასწავლო პროგრამის ათვისებაში, ინდივიდუალური შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენაში; მოსწავლის დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდასა და სასწავლო პროცესში ინტეგრირებაში.

ვ) სპეციალური მასწავლებელი ბავშვთან, მშობელთან, მეურვესთან, აღმზრდელთან მუშაობის პროცესში იყენებს დამოუკიდებელი ცხოვრების პრინციპებს და უსაბუთებს მათ ამ მიდგომის უპირატესობას.

16. სასკოლო კურიკულუმი/წლიური პროგრამები

სასკოლო კურიკულუმის/წლიური პროგრამის აგების პრინციპები

ეროვნული სასწავლო გეგმის საფეხურებრივი საგნობრივი სტანდარტები განსაზღვრავს სავალდებულო საგნობრივ მოთხოვნებს (რა უნდა შეეძლოს და რა უნდა იცოდეს მოსწავლემ). მათზე დაყრდნობით შედგენილია სასკოლო კურიკულუმი/წლიური პროგრამები, რომლებიც გვიჩვენებს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებს.

წლიური პროგრამები/სასკოლო კურიკულუმი დაგეგმილია სავალდებულო სასწავლო თემების საშუალებით. სასწავლო თემა წამოადგენს ფუნქციურ კონტექსტს, რომელიც სტანდარტის ნაწილების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება უნდა დამუშავდეს. მაშასადამე, სასწავლო თემების ცვლით შეიცვლილია კონტექსტები, მაგრამ არ შეცვლილა სწავლის მიზნები, რომლებიც სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახითაა ფორმულირებული (შედეგი და სამიზნე ცნება თავისთავად არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სასწავლო ერთეულს - თემას).

სასწავლო თემის აგების პრინციპები

1. სასწავლო თემა წარმოადგენს მოსწავლეთათვის ნაცნობ, მათი ასაკობრივი ინტერესებისა და გამოცდილების შესაბამის კონტექსტს, რომელიც სტანდარტის შედეგების, სამიზნე ცნებების, კონკრეტული ქვეცნებებისა და საკითხების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში, შეძლებისდაგვარად, დამუშავებულია სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება.

თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები - განსაზღვრავს შესასწავლი თემის ჩარჩოებს; აკონკრეტებს, თუ რა უნდა იცოდეს მოსწავლემ კონკრეტულ თემასთან

მიმართებით (თემატური მკვიდრ წარმოდგენები განსხვავდება სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენებისგან).

2. გრძელვადიანი მიზნები

შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები, საფეხურის საკვანძო შეკითხვები პასუხს სცემს შეკითხვას - რა გრძელვადიანი მიზნით ვასწავლით მოსწავლეს თემას.

ა) სტანდარტის შედეგები - განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს და პასუხობს შეკითხვას: რა უნდა შეეძლოს მოსწავლეს საგნის ფარგლებში საფეხურის ბოლოს?

ბ) სამიზნე ცნებები - გამომდინარეობს სტანდარტის შედეგებიდან და განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს;

გ) სამიზნე ცნების/ცნებების მკვიდრი წარმოდგენები - თითოეული ცნებისთვის განისაზღვრულია მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც შემოფარგლავს ცნების მოცულობას და დააზუსტებს, რა უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული მოსწავლეს ამ ცნებასთან მიმართებით საფეხურის ბოლოს. მკვიდრი წარმოდგენების დაზუსტდებულია წლიური პროგრამის/სასკოლო კურიკულუმის ფარგლებში;

დ) საფეხურის საკვანძო შეკითხვები - გამომდინარეობს შედეგებიდან და სამიზნე ცნებებიდან და განსაზღვრავს, თუ რაზე უნდა დაფიქრდეს მოსწავლე საგნის შესწავლის პროცესში. საფეხურის საკვანძო შეკითხვები თემის ფარგლებში უფრო კონკრეტულ თემატური შეკითხვებად არის გარდაქმნილი.

3. შუალედური მიზნები

თემის ფარგლებში შუალედური მიზნის როლს ასრულებს ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული **ოთხეული - საკითხები/ქვეცნებები, საკვანძო შეკითხვები,** ასევე **კომპლექსური დავალება/დავალებები** და **შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები.** თემატურ მატრიცაში შესაძლებელია გამოყოფილი იყოს იმდენი ეტაპი (შესაბამისი შუალედური მიზნებით), რამდენსაც მასწავლებელი ჩათვლის საჭიროდ მოცემული სასწავლო თემის ფარგლებში.

საკითხების საშუალებით ხდება იმის განსაზღვრა, თუ კონკრეტულად, რა მასალის საფუძველზე წარიმართება მუშაობა თემის ფარგლებში. ქვეცნებებსა და საკითხებზე დაყრდნობით განისაზღვრება ასევე კომპლექსური დავალების პირობა.

ქვეცნებები - წლიური თემების ფარგლებში, გამოიყოფილია საგნობრივი ქვეცნებები, რომლებიც უშუალოდ გამომდინარეობს შესაბამისი სამიზნე ცნებებიდან; ისინი წარმოადგენენ ტერმინებს, რომლებით ოპერირებაც მოსწავლეს ამ კონკრეტული თემის ფარგლებში/კონკრეტულ საკითხთან მიმართებით მოუწევს.

თემატური საკვანძო შეკითხვები ორიენტირებულია უშუალოდ შესაბამის სამიზნე ცნებაზე/ცნებებზე (მაგ., ცნებაზე „კონტექსტი“) და განსაზღვრულია შერჩეული ქვეცნებების/საკითხების გათვალისწინებით. ისინი გამოკვეთს, რაზე უნდა დაფიქრდეს მოსწავლე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას. მათი ფუნქციაა:

- მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება, ცნობისმოყვარეობის გაღვივება, პროვოცირება ახალი ცოდნის შესაძენად;
- სასწავლო თემის შედეგზე ორიენტირებულად სწავლა-სწავლების უზრუნველყოფა;

- თემის სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური ნაბიჯების/ეტაპების განსაზღვრა. საკვანძო შეკითხვა წარმოადგენს მაორგანიზებელ ელემენტს, რომელიც სასწავლო თემის ფარგლებში ასრულებს გაკვეთილ(ებ)ის მიზნის როლს.

კომპლექსური დავალება წარმოადგენს მოსწავლის შემეცნებით-შემოქმედებით პროდუქტს, რომლის შესრულება მოითხოვს სხვადასხვა ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში. კომპლექსური დავალება და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული სტრუქტურული ერთეულები (საკითხი, ქვეცნება, საკვანძო შეკითხვა, შეფასების კრიტერიუმი), ცალკეული თემის ფარგლებში, შუალედური მიზნის როლს ასრულებს.
შეფასების კრიტერიუმები გამომდინარეობს სტანდარტის შედეგებიდან და აჩვენებს, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში.

ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეკომენდაციების გათვალისწინებით, სკოლის მასწავლებლების მიერ შემუშავებული სასკოლო კურიკულუმი/წლიური პროგრამები დანართი N9 სახით თან ერთვის სასკოლო სასწავლო გეგმას.